პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible] და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4. ტელეფონი №

№ 144 პარასკევი, 26 აგვისტო, 1921 წ.

ყოველდღიური გაზეთი

პარასკევი, 26 აგვისტო, 1921 წ. № 144

26 აგვისტო

პარასკევი

1906. ს. რ. პარტიის დადგენილებით კონოპლიანიკოვისკიმ მოკლა გენერალი მინი, რომელიც აქრობდა აჯანყებას მოსკოვში.

დღიური:

— 28 აგვისტოდან საქართველოში მოეწყობილი იქნება რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად საგიტაციო კამპანია.

— ინდოეთში იფეთქა გრანდიოზულმა აჯანყებამ. ინგლისის მთავრობამ ამბოხების ჩასაქრობად გაგზავნა ჯარი და პოლიცია.

— ცხოვრების გაძვირების ნიადაგზე, გერმანიაში მუშათა გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს.

— პოლონეთთან შემოერთებულ ადგილებში დაიწყო დიდი რევოლიუციური მოძრაობა.

ვოლგის მხარე-პურის ბეღელია არა მარტო რუსეთისათვის, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. ვოლგის მხარის მოუსავლობამ და შიმშილობამ შეიძლება მომავალში ცუდი გავლენა იქონიოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე. ვინც არ ეხმარება ვოლგის მხარის მცხოვრებთ, ის ეხმარება საერთაშორისო ბურჟუაზიას და რუსეთის თეთრ გვარდიელებს. საბჭოთა საქართველო დავალებულია საბჭოთა რუსეთისგან და მუშებმა და გლეხებმა იციან, რომ ვალს გადახდა უნდა. დახმარება შეიძლება ყველაფრით, ვისაც რითი შეუძლია. საჭიროა საერთო ძალ-ღონით დავძლიოთ ვოლგის მხარის სიმშილობა, რომ ამ უმდიდრესი მხარის მოუსავლობისა და სიმშილობის შედეგმა გავლენა არ იქონიოს ჩვენს მომავალზე. საბჭოთა რუსეთის გამარჯვება 21 წელს სიმშილობაზე და ეკონომიურ არევ-დარევაზე მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება იქნება.

რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად სააგიტაციო კომპანიის გატარების წესი

1) 28 აგვისტოდან იწყება საბჭოთა საქართველოში სააგიტაციო კომპანია ვოლგის მხარის დამშეულთა დასახმარებლად.

2) პირველ რიგში იგზავნებიან თითო პასუხისმგებელი მუშაკი ს. კ. ც. კ. კ. აგიტ—პროპიდან შემდეგ მაზრებში: გორის, თელავის, სიღნაღის და თბილისის.

3) პასუხისმგებელ მუშაკებმა ადგილობრივად უნდა მოიწვიონ თათბირი პარტკომის, რევკომის, პროფ. საბჭოს, ახალგაზრ. კომ. კავშირის და წითელი არმიისა გეგმის შესამუშავებლად. მაზრებში კომპანიის გასატარებლად და სოფლებში გასაგზავნ აგიტატორ ამხანაგების დასანიშნავად.

4) პასუხისმგებელ მუშაკებმა ყველა დანიშნულ აგიტატორებს უნდა მისცენ ინსტრუქცია სოფლებში კომპანიის გასატარებლად.

5) პასუხისმგებელ მუშაკებმა უნდა მოიწვიონ საერთო პარტიული კრება შემუშავებულ ზომების განსახილველად.

6) ყველა აგიტატორები ადგილობრივად ჯერ ჩაატარებენ პარტიულ კრებებს, შემდეგ ადგილობრივი პარტკომები ანუ იაჩეიკები იწვევენ საერთო მიტინგებს.

7) მიტინგებზე გამოდიან მოხსენებით შემდეგ თემაზე: „საბჭოთა საქართველო და სიმშილი 1921 წ. საბჭოთა რუსეთში“. ფართოთ უნდა გაავრცელონ დაბეჭდილი ლოზუნგები და პლაკატები.

8) აგიტატორები მუშაობენ მჭიდრო კონტაქტით ადგილობრივ დამშეულთა დამხმარე კომისიებთან.

საქართველოს კ. პ. ც. კ. სააგ. საპროპაგანდო განყოფილება.

თეზისები.

თეზისები მოხსენებისათვის: საბჭოთა საქართველო და სიმშილობა 1921 წელს საბჭოთა რუსეთში

1) საქართველო გადაიქცა საბჭოთა საქართველოთ რუსეთის სახელოვან წითელ არმიის წყალობით, რომლის ერთი ნაწილი შვილია ვოლგის მხარისა, რომელიც ეხლა დამშეულია საშინელი მოუსავლობის გამო.

2) სამოქალაქო ომის დროს გასული სამი წლის განმავლობაში ვოლგის მხარის გლეხები ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ საბჭოთა რუსეთს, აძლევდნენ მას თავის ზედმეტ სურსათ-სანოვაგეს და ამით იხსნეს პეტროგრადის და მოსკოვის მუშები შიმშილით სიკვდილისაგან.

3) საქართველოს მუშებსა და გლეხებს კარგათ ახსოვთ, რომ საბჭოთა რუსეთი საქართველოს გადატრიალების პირველ დღიდან უნაწილებდა ხოლმე მას თავის ისედაც მცირე რაოდენობიდან პურს და ისიც იციან, რომ თუ ეს უბედურება, მოუსავლიობა არ მომხდარიყო, საქართველო წელსაც მიიღებდა პურს რუსეთისგან.

4) საქართველო შემდეგშიაც დარწმუნებული უნდა იყოს მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მხრით დახმარებაში ყველა უბედურებისა და გაჭირვების დროს.

5) ვოლგის მხარის წითელი არმიელები, რომლებიც ამ ჟამად იმყოფებიან საქართველოში და იცავენ მის საზღვრებს ყველა საფრთხისაგან, მხოლოდ მაშინ განაგრძობენ გულდამშვიდებით რევოლიუციის დაცვას ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციისაგან, როდესაც დარწმუნებულნი იქნებიან, რომ საქართველოს მუშები და გლეხები მხურვალედ, ძმურად და სწრაფად დაეხმარებიან უბედურებაში მყოფ ვოლგის მხარის მცხოვრებთ.

6. მთელი ქვეყნის მუშები რუსეთის რევოლიუციის მეოთხე წელს შეერთებულნი მესამე კომინტერნის დროშის ქვეშ უკვე მზად არიან ერთგულად დაეხმარონ ვოლგის მხარის დამშეულთ.

7) ყველას შეგნებული აქვს, რომ რუსეთის დამშეულთა გადარჩენა და მატერიალური დახმარება ვოლგის მხარის მცხოვრებთა უდიდესი ისტორიული ვალის მოხდაა მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე.

8) ვოლგის მხარის მდიდარ მინდვრების განიავება-დაღუპვა იქნება არა მარტო რუსეთის პურის ერთი ბეღლისა, არამედ ყველა რესპუბლიკების, როგორც ეხლანდელის, ისე მომავლისა.

9) საერთო პროლეტარული და გლეხური ძალებით ჩვენ არა თუ დავძლევთ ვოლგის მხარის შიმშილს, არამედ აღვადგენთ კიდეც საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ ძლიერებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისა და მომავალ მსოფლიო კომუნის საკეთილდღეოდ.

10) გაუმარჯოს ვოლგის მხარის დამშეულთა შველას ყველა ქვეყნის მუშათა და გლეხთაგან ენერგიული და სწრაფი დახმარების გაწევით.

სიმშილი!

სიმშილით სიკვდილი! აი ის საზარელი აჩრდილი, ხმა დევნისა, მონობისა და დაჩაგვრებისა, რომელიც ადამიანს პირუტყვს ამსგავსებს, ამცირებს, მიწასთან ასწორებს!

სიმშილის მსხვერპლი იყო პირველყოფილი ადამიანი, ის სრული მონა იყო ამის გამო ბუნების ძალთა, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში შრომის განაყოფიერების გზით ადამიანმა სძლია ეს საშინელი მტერი და მოიპოვა მან არსებობის უზრუნველყოფა ჩვეულებრივ მოსავლიან წლებში მაინც.

ამნაირათ შიმშილის ძლიერება და საშიშროება შეიზღუდა, მისი მსხვერპლთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ დღემდე კაცობრიობის უდიდესი ნაწილი, ღარიბი მშრომელი ნაწილი მაინც მისი მონა იყო და არის, მაინც მის გავლენას ემორჩილებოდა და ემორჩილება.

სიმშილით სიკვდილის გამხმარი ხელის ერთი გაქნევით სისრულეში მოდის ყველა მისი ბრძანება, და ეს შესრულება, ეს მორჩილება არის ერთად ერთი საშუალება არსებობის უზრუნველყოფისა ყველა ღარიბ მშრომელისათვის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ეს ასეა ჩვეულებრივ დროს, ყოველ ჟამს!

მაგრამ ხშირია ისეთი წელიწადებიც, როცა ხალხს, რომელიმე ტერიტორიის მცხოვრებთ, განურჩევლათ სოციალური მდგომარეობისა, ეწვევა ხოლმე ეს საზარელი მტერი, სიმშილი.

ეს ხდება ხოლმე სოციალური ან სტიქიური, ბუნებრივი უბედურების გამო.

საშინელი ეკონომიური კრიზისები, მოუსავლობა, წყალ დიდობა, ცეცხლი და სხვა ამ გვარი მოვლენები აჩენს კაცობრიობის ამ მტრებს, რომელიც ათასობით და მილიონობით მუსრს ავლებს ხალხებს, განსაკუთრებით მის მშრომელთა ნაწილებს. ეს საერთო უბედურებაა და ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფო მას იმდენათ ებრძვის, რამდენათაც ეს უბედურება თავისი სასიკვდილო ცელით გაბატონებულ კლასების წარმომადგენლებსაც სწვდება.

მდიდარი უმეტეს შემთხვევაში დაზღვეულია ამ უბედურებისაგან და ღარიბის შველას იგი იმდენათ ცდილობს რამდენათაც ღარიბის დამშევა სიკვდილი მის ძირითად ინტერესებსაც ეხება.

სულ სხვაა პროლეტარულ-კომუნისტური სახელმწიფო, საბჭოთა რესპუბლიკა.

სიმშილი აქ სწვდება რესპუბლიკის მთელ შემადგენლობას, ვინაიდან საბჭოთა რესპუბლიკა, ეს მხოლოდ მუშებისა და გლეხების რესპუბლიკაა.

თუ დამშეულია მუშა და გლეხი, ამით მოშლილია მთელი მექანიზმი რესპუბლიკისა, ამით იქცევა საფუძველი სახელმწიფოებისა.

„თუ საძირკველი დაქცეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

და სწორეთ დღეს, როცა აუარებელი რევოლიუციური მსხვერპლით და ისტორიული დიდ მნიშვნელობის კლასობრივ პროლეტარული გმირობით სახელმწიფოებრივი ძალა უფლება დაპყრობილია, როცა ამ ხელისუფლების მეოხებით ახალი ეკონომიური პოლიტიკა მომარჯვებულია და როცა ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება ენთუზიაზმით და აღმაფრენ ცხოველმყოფელი იმედებით შეუდგა რუსეთის გმირი მუშათა კლასა რუსეთის გლეხკაცობასთან შეთანხმებულ-შეკავშირებული, დაატყდა მას თავს ეს სტიქიური უბედურება.

მთელი ვოლგის მხრის მოუსავლობით გაჩენილი სიმშილი შეუბრალებლად ჟლეტს მუშებსა და გლეხებს. ის არ არჩევს მათ შორის არც ახალგაზრდას, არც მოხუცს, არც ქალსა და არც კაცს, არც ბავშვსა და არც მოზრდილს, ყველას ერთნაირად უსპობს სიცოცხლეს.

მთელი მხრის საუკეთესო მოსავლიან (წინა წლებში) გუბერნიიდან, სარატოვიდან კორესპონდენტი მეტად უნუგეშო შემზარავ სურათს გვიხატავს. „მრავალ ქალაქში, სწერს იგი, არა თუ პური არ იშოვება, არამედ მცხოვრებნი ისეთ საგნებსაც ვეღარ პოულობენ, რომლებსაც პურის მაგიერობა ოდნავ მაინც შეეძლოს. მთელი დღეების განმავლობაში საავადმყოფოებიც და ბავშვთა თავშესაფარიც უპუროთ არის დატოვებული. მოგვეშველეთ საჩქაროთ“.

თვით სრულიად რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი თავის მოწოდებაში სწერს: „უბედურება იმდენათ დიდია და შიმშილი იმდენათ საშინელი, რომ არ შეიძლება ქვეყნათ იყოს ისეთი ადამიანი, რომელმაც ხელი არ გაუწოდოს ამ უბედურთ საშველათ. დეე ყველამ გაიღოს ის, რაც მას შეუძლია. აქ გამოდგება ყველაფერი: ნივთი, ნაწარმოები, ქსოვილი და ფული.

აი რა უბედურება დატეხია თავს იმ მშრომელთა დედა რუსეთს, რომლის გმირული თავგანწირული დედობრივი მზრუნველობის ცხოველმყოფელმა სხივებმა აღმოაცენა და წარმოშვა მთელი რიგი საბჭოთა რესპუბლიკებისა რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო პროლეტარიატის ძლევა მოსილ მსვლელობას, კომუნისტურ რევოლიუციას; იმ რევოლიუციას, რომელიც ერთად ერთი წყაროა და საშუალება, რომ სამუდამოთ იქნას ქვეყნათ დამარცხებული და ძლეული ის წყეული სიმშილი, სიმშილით სიკვდილი, რომლის წინაშე ისე საცოდავათ ძრწის და კანკალებს ადამიანი!

მაშ ყოველი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა, რომ თავის, წვლილი შეიტანოს ამ დიად ბრძოლაში, მშველელი, დამხმარე ხელი გაუწოდოს იმ გმირ მშრომელ და უანგარო ჩვენთვის თავდადებულ ხალხს, რომელიც დღეს გოლვისგან ვოლგის მხრის გატიალებულ ველებზე სიმშილით ღონე მიხდილი ძირს ეცემა და თან უფსკრულისაკენ გამარჯვებული პროლეტარული რევოლიუციის მომავლის იმედები. მივეშველოთ მას, გადავარჩინოთ, ზეწამოვაყენოთ და მით მსოფლიო პროლეტარული რევოლიუცია განსაცდელისგან დავიხსნათ!

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საძაგელი განზრახვა.

მოსკოვი. 14 აგვისტო. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატისაგან.

ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგენი, რომელნიც თავის ბრძოლაში მის წინააღმდეგ არ ერიდებიან არავითარ პროვოკაციულ ნაბიჯებს და ბოროტმოქმედებას, ლატვიაში ამზადებენ თავდასხმას ლატვიის მთავრობის წევრებზე, უცხოელ წარმომადგენლებსა და უცხოელ მისიების წევრებზე. თავდასხმასთან ერთდროულად განზრახულია გამოუშვან ყალბი პროკლამაციები კომუნისტური პარტიის სახელით, განცხადებით, რომ ეს თავდასხმა არის პასუხი კომუნისტების წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიებზე. ამასთან დაკავშირებით განზრახულია დაიწყონ კამპანია პრესაში, თითქო რუსეთის საბჭოთა მთავრობა იყოს ამ თავდასხმათა ინიციატორი. ამნაირად ფიქრობენ მოამზადონ შესაფერი ატმოსფერა აგრესიულ მოქმედებისათვის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოელ სახელმწიფოთა მხრიდან. ასეთივე მეთოდები, ალბად გამოყენებული იქნება სხვა სახელმწიფოებშიაც. რუს ემიგრანტებიდან ამ გეგმების უშუალო მონაწილე არიან მონარქისტული წრეები. ამ ცნობებთან დაკავშირებით რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ლატვიაში და სხვა მეზობელ სახელმწიფოებში დაევალა გააფრთხილონ მათი მთავრობანი ამ ბოროტ პლანების შესახებ.

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მუშაობა.

მოსკოვი. 15 აგვისტო. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო მუშაობს სამ სექციით: სამეცნიერო პოლიტიკური მ. ი. პოკროვსკის ხელმძღვანელობით, სამეცნიერო პედაგოგიური ნ. კ. კრუპსკის ხელმძღვანელობით და სამეცნიერო ტეხნიკური ამხ. პრეობრაჟენსკის ხელმძღვანელობით, სამთავე სექციაში მუშაობს 50 კაცამდე მეცნიერების, ლიტერატურისა და ტეხნიკის. უმთავრეს კითხვათა შორის, რომელსაც სწყვეტს სამეცნიერო საბჭო არის შემდეგი:

უმაღლეს სასწავლებელთა კათედრის შევსება. მასწავლებელთა გადაყვანა ერთი სასწავლებლიდან მეორეში, გახსნა სამეცნიერო და გამოსაკვლევ ინსტიტუტებისა. მეცნიერთა საბჭომ ამ დღეებში დაამტკიცა სამეცნიერო ექსპედიცია: ჩრდილოეთ კასპიის მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობის შესასწავლად; ანტროპოლოგიური ექსპედიცია ოლონეტისა და ტვერის გუბერნიებში, ზოოლოგიური ექსპედიცია ამიერკასპიის ოლქის სამხრეთ ნაწილში. ექსპედიცია მოსკოვის უნივერსიტეტისა საბუნებისმეტყველო და ისტორიული კოლექციის შესაკრებათ საზღვარ გარეთ საქონლის გასაცვლელად და ექსპედიცია ო. ე. ოზარევსკაიასი ჩრდილოეთში შესაკრებათ სახალხო სიტყვიერების ნაწარმოებისა.

ბრძოლა სიმშილობასთან

გამგზავრება ამხ. კალინინის ვოლგის რაიონში.

მოსკოვი. 14 აგვისტო. დღეს გაემგზავრა ვოლგის რაიონში და სხვა დამშეულთა ადგილებში მატარებელი „ოქტომბრის რევოლიუცია“. ამ მატარებლის მეთაურია მთელი რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კალინინი. ამ მატარებლით გაემგზავრნენ დამშეულთა ადგილებში რწმუნებულები ყველა პარტკომიტეტებისა. ეს მატარებელი აგრეთვე მოივლის მოსავლიან გუბერნიებსაც, სადაც გაეცნობებიან დამშეულთა უბედურებას და შეწირულთა მოგროვებას.

ამერიკელები ვოლგის რაიონში.

მოსკოვი. 13 აგვისტო. ვოლგის რაიონში გაემგზავრა თბილისიდან ჩამოსული ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკის კომიტეტის წარმომადგენლები. ამერიკელები გაემგზავრნენ სარატოვის გუბერნიაში. ამერიკის დელეგატებ შორის არიან ჟურნალისტებიც.

თესლის მომარაგება

მოსკოვი. 13 მიწათ მოქმედების მომარაგებითი ცენტრალურმა სამართველომ გამოიმუშავა გეგმა დამშეულ გუბერნიების საზამთრო თესლის მომარაგების. განაწილება საზამთრო თესლის მოუსავლიან გუბერნიებზე უნდა მოხდეს სივრცით შედარებით, სადაც განადგურდა საზამთრო თესლი. მოუსავლიან გუბერნიებზე იქნება გადაცემული 2.117.000 დესეტინაზე ესე იგი 9,804,000 ფუთი ხორბალი.

ევაკუაცია დამშეულ რაიონიდან.

მოსკოვი. 14 აგვ. დამშეულთა დახმარების კომისიამ თავის სხდომაზე გამოარკვია, რომ სამი თვის განმავლობაში ე. ი. 1 აგვისტომდის დამშეულთა რაიონებიდან მოახდინეს ევაკუაცია 235,000 კაცის. შეუდგნენ 20,000 დამშეულ ბავშვების ევაკუაციას. გადაწყვეტილია საჩქაროთ მოახდინონ ბავშვების ევაკუაცია სამარის, სიმბირის, სარატოვის გუბერნიებში და თათარის რესპუბლიკაში. გადაწყვეტილია ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს გადასცეს სახალხო განათლების კომისარის განკარგულებაში ავანსათ 5 მილიარდი მანეთი ბავშვების ევაკუაციის ხარჯის დასაფარავათ, ამნაირათ რომ სახალხო განათლების კომისარიატის ხელში იქნეს ბავშვების ევაკუაციის საქმე.

გამოძახილი საზღვარ გარეთიდან. მოწოდება ლონდონის ლორდმერის.

ლონდონი. 10 აგვისტო. ლონდონის ლორდმერმა გამოაქვეყნა მოწოდება ფულის შეწირვის შესახებ დამშეულ რუსეთის დასახმარებლად. მოწოდება მიმართულია ყველა ორგანიზაციებზე, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ გავლენა საზოგადო შეხედულებაზე და გაუღვიძოს ბრიტანეთის ხალხი სურვილი შეწირვის გამოღებისათვის და რუსეთის შიმშილთან საბრძოლველად.

საფრანგეთის დახმარება.

ბერლინი. 3 აგვისტო. საფრანგეთის დიპლომატიური წრეები გართული არიან საკითხით, თუ რამდენი შეუძლია საფრანგეთს შეიტანოს საერთაშორისო ფონდში, სურსათი რუსეთის დასახმარებლათ, რომლის საჩქარო განხორციელებას ფიქრობენ, პრესა აღნიშნავს, რომ საფრანგეთს ბლომათ მოეპოვება ბრინჯი და ლობიო, რომელიც შეუძლიათ გადასცენ დამშეულებს.

პარიზი. 8 აგვისტო, გაზეთი „გალუა“ მიესალმება საფრანგეთის მთავრობას გადაწყვეტილებას რუსეთის დახმარების შესახებ. გაზეთი მიუთითებს, რომ ამითი საფრანგეთის მთავრობა უარყოფს ძველ პოლიტიკას და იწყებს ახალ პოლიტიკას რუსეთის მიმართ. გაზეთი „ფიგარო“ მიესალმება ბრიანის გადაწყვეტილებას და ამბობს რომ საფრანგეთი და ამერიკა აწყობენ რა ორგანიზაციულ დახმარებას, უნდა დაუსვან რუსეთს პირობები.

გაზეთი „იუმანიტე“, აფრთხილებს, რომ თუ კაპიტალისტურ ქვეყნებს აქვსთ გეგმები რუსეთის კატასტროფიული მდგომარეობით ისარგებლონ და მოახდინონ ექსპლოატაცია, მაშინ იცოდენ მათ, რომ ეს განზრახვა არავითარ დანიშნულებას ვერ მიაღწევს.

ჩიკაგო, 6 აგვისტო. „ჩიკაგო ტრიბუნა“ იუწყება: რუსეთის ემიგრაციის რამოდენიმე წარმომადგენლებმა, მეფურ მთავრობის ყოფილი წევრებმა ინახულეს პარიზში რუსეთის ელჩი და სთხოვდნენ მას, რათა არ აღმოეჩინა დახმარება რუსეთის დამშეულთადმი, რადგან ამით შესაძლებელია საბჭოთა მთავრობის მდგომარეობის განმტკიცება.

ნიუ-იორკიდან გამოვიდა პოლკოვნიკი რიკული გაგზავნილი პარიზში ამერიკულ წითელ ჯვრის წარმომადგენლის სახით რუსეთის დამშეულ რაიონებისადმი სასურსათო და საექიმო დახმარების მოსაწყობათ. რიკული შეუდგება რუსეთის შესახებ კანონების და ევროპაში რუსეთისადმი დახმარების მოწყობის საშუალებათა ცნობების შეკრებას.

ა. ვ. ლუნაჩარსკის პიესა.

მოსკოვი, 14 აგვ. 17 ისთვის დანიშნულია ა. ვ. ლუნაჩარსკის პიესა—„დონ-კიხოტის კითხვა“. პიესის წაკითხვის შემდეგ დანიშნულია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ამხ. იუჟინი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მეერხოლდი, თაიროვი და სხვა. მთელი შემოსავალი გადავა ვოლგას სანაპირო დამშეულთა დასახმარებლად.

დამშეულ გლეხობის მოწოდება.

მოსკოვი. 11 აგვისტო. დამშეულმა გლეხობამ მიმართა მთელ გლეხობას მოწოდებით, რომელშიაც სხვათა შორის სწერია: „ძვირფასო ამხანაგებო! მსურუსვი ქვეყნების გლეხებო, თქვენდამი დიდი თხოვნაა, ძვირფასო ამხანაგებო გლეხებო: არ დაგვივიწყოთ დახმარების გარეშე ჩვენ, გლეხები დაზარალებულნი გვალვისაგან. ძვირფასო ამხანაგებო, დაგვეხმარეთ, გადაგვარჩინეთ; შეიბრალეთ ჩვენი ბავშვები და დედები. მთელი ჩვენი პური გვალვამ გაანადგურა. ბალახი ამოწვარია. [illegible] სჭამს საქონელი. ამასთან ზედ ერთვის დიდი, მკაცრი ბილო ზამთარი. ეხლა ჩვენ მწვანეულობით ვიკვებებით: პურის მაგიერ გვჭამთ ბალახს, ხეების ფოთლებს, ბოსტნეულობას, მწვანეულობასა და ხილს. ზედმეტ მწვანეულობის ხმარების გამო სოფლებში, ბევრი სიკვდილი და ხანგრძლივ წვალების შემდეგ საფლავისაკენ მიემგზავრება. დადგება ზამთარი და მწვანეულობაც აღარ იქნება. დაიღუპა მთლად საქონელი.

დიდი თხოვნაა თქვენდამი, ძვირფასო ამხანაგებო, დაგვეხმაროთ ჩვენ, ნუ დახოცავთ ჩვენ საწყალ ბავშვებს. თქვენი დახმარება არ დაივიწყება საუკუნოებით. და ჩვენ, თქვენ რაიმე მცირე უბედურების დროს, გამოგეხმაურებით და საერთო ძალით ადვილად გადავიტანთ უბედურებას. მოგვეცით თესლი, ვინაიდან, ჩვენი მინდვრები შეიძლება დაუთესველი დარჩეს. ხოლო გამოცდილ გლეხ მოხუცთა წინასწარმეტყველობით, მომავალ წელში ჩვენს მხარეში კარგი მოსავალი იქნება. ამიტომ, თუ არ დავთესავთ, ჩვენ ბევრს დავკარგავთ. ვშიმშილობთ არა იმიტომ, რომ არ ვმუშაობთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი შრომა გაანადგურა გვალვამ. ჩვენი უკანასკნელი მხურვალე, თვალცრემლიანი, გულითადი თხოვნაა: გვიშველეთ და გადაგვარჩინეთ ჩვენ.

საანეულო კომპანია მოუსავლიან ადგილებში.

მოსკოვი 10 აგვისტო. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია ამ წელს საანეულო კომპანიის ჩასატარებლად გვალვისაგან დაზარალებულ ადგილებში. შეიმუშავეს გეგმა მოუსავლიან გუბერნიების მომარაგებისა. ამ გეგმას საფუძვლად უდევს მოუსავლიან ადგილების მომარაგება ფულის შემნახველ კასებიდან იმ ფულით, რომელიც შარშან მომხმარებელ გუბერნიების მიერ იყო გატანილი და რომელიც ეხლა უნდა უკან დააბრუნონ. ანეულის თესლი სრულიად უნდა იყოს დაბრუნებული, სესხი კი გაზაფხულისა 50 პროცენ. რაოდენობით. გეგმის შემუშავების დროს მხედველობაში მიღებული იყო თესლეულობის ტრანსპორტის პირობები, მცირე ვადის გამო მოსავლის მოკრებიდან ანეულის დათესვამდე. ეს გეგმა დამტკიცებულ იქმნა მ. წ. და მოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასურსათო სახალხო კომისარიატის გაერთიანებულ თათბირზე.

საფრანგეთის დახმარება.

პარიზი 15 აგვისტო. „მატენი“ იუწყება, რომ სოციალისტ დეპუტატმა მუტემ შეიტანა დეპუტატთა პალატაში შეკითხვა მშიერ რუსეთის დახმარების შესახებ. მუტეს სიტყვით რუსეთის უბედურებას შეუძლია დიდი შედეგი მოუტანოს მთელ განათლებულ ქვეყანას. საჭიროა დახმარება გაუწიონ ბავშვების დამხმარე საერთაშორისო კავშირის თაოსნობას ჟენევაში, რომელმაც მიმართა მთელს კაცობრიობას მოწოდებით რუსეთის დახმარების შესახებ. ამ მოწოდებას პირველად გამოეხმაურა სენის დეპარტამენტის მიწის მთხრელთა სინდიკატი, რომელმაც გადასცა რუსეთის დამშეულთათვის 1000 ფრანკი.

კაპიტალიზმის საზოგადოებაში

ინდოეთი

არეულობა სამხრეთ ინდოეთში.

ნაუენი. 24 აგვ. (რადიო). სამხრეთ ინდოეთში სერიოზულმა არეულობამ იფეთქა. მეამბოხენი ანადგურებენ რკინის გზებს და ნავთსადგურის კანტორებს. ამბოხების სალიკვიდაციოთ გამოწვეულია ჯარი და პოლიცია. მეფის მოადგილის მიერ მოწვეულია საგანგებო კრება სახელმწიფო სათათბირო სიმლაში რევოლიუციონური მოძრაობის სალიკვიდაციო ზომების შესამუშავებლად.

ინგლისი და ინდოეთი.

მოსკოვი. 25 აგვ. (რადიო) ინგლისის ბურჟუაზია აწყნარებს ინდოეთში მოდებულ მღელვარებას. ინგლისის მთავრობა სცდილობს სასტიკი ზომების მიღებით, შეიარაღებული ძალით დააწყნაროს მეამბოხენი. მეამბოხეების მიერ გაწყვეტილია ტელეგრაფის ხაზები და აფეთქებულია რკინის გზები.

ინგლისი.

ინგლისში შესვლის აკრძალვა.

ნაუენი 24 აგვისტო (რადიო). ინგლისის მთავრობამ უარი განუცხადა პიროვნების მოწმობის ვიზის გაცემაზე ცნობილ რუს მომღერალ შალიაპინს, რომელსაც აზრად ჰქონდა გაემართა საკონცერტო მოგზაურობა მთელს ინგლისში. ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოთ ფულის შესაკრეფათ.

გერმანია

მოსკოვი. 25 აგვ სტო (რადიო) ოლდენბურგში დაიწყო ქალაქის მუშათა გაფიცვა. გაფიცვა ცენტრალურ გერმანიიდან ვრცელდება ჩრდილოეთზე. კელნში გაიფიცნენ პორტის მუშები, რომელნიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას.

სამეფოოვან დროშის საქმე.

მოსკოვი. 25 აგვისტო. (რადიო) გერმანელ მონარქისტებმა მაგდებურგის ახლო მოაწყვეს სამხედრო დღესასწაული. იქვე მუშებმა მოაწყვეს კონტრ-დემონსტრაცია წითელი დროშებით ხელში. ჩაშალეს სამხედრო დღესასწაული და ჩამოგლიჯეს იმპერატორის სამეფოოვანი დროშა. მძიმეთ დაჭრილია 11 კაცი.

პოლონელ ბურჟუაზიამ მიიღო კარგი საჩუქარი.

მოსკოვი. 25 აგვისტო, (რადიო). ექვს ოლქებში, რომელიც გადავიდა პოლონეთისაკენ, იზრდება რევოლიუციონერი მოძრაობა მუშათა შორის. გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობს არა მარტო რკინის გზის მუშები, არამედ მთელი სამხედრო რაზმებიც.

გაფიცვა გერმანიაში.

ნაუენი. 4 აგვისტო (რადიო). გაფიცვა შუაგულ გერმანიიდან გავრცელდა ჩრდილოეთში. კელნიდან მიღებულ ცნობებით გაფიცვა გამოაცხადეს ტრანსპორტის და ნავთსადგურის მუშებმა.

გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, ვინაიდან ცხოვრება თანდათან ძვირდება.

ბულგარეთი

ბულგარეთის განიარაღება.

ნაუენი. 23 აგვ. (რადიო) ბულგარეთის პრესა [illegible] გამოსთქვამს ბულგარეთისათვის შექმნილ მდგომარეობის გამო, მისი განიარაღებით. ბულგარეთი დარჩა დაუცველი როგორც შინაური წესრიგის მხრივ, აგრეთვე საზღვრებისა.

პოლონეთი

კათოლიკთა ყრილობა.

ვარშავა. 23 აგვ. (რადიო) 5 სექტემბრისათვის მოწვეულ იქნება კათოლიკთა ყრილობა. საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, სამხრეთ სლავიის, ჩეხო-სლოვაკიის და სერბიის. ყრილობაზე მოწვეულია კარდინალები დიუბუა და მერსიე.

საფრანგეთი.

საფრანგეთის საზღვაო ბაზა.

ლონდონი. 23 აგვ. (რადიო). „მორინგ პოსტი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ახალი საზღვაო ბაზათ შეიქმნება მადაგასკარი. საფრანგეთის ფლოტი ინდოეთის ოკეანეში გადიდებული იქნება.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა.

პარიზი, 23 აგვისტო (რადიო) გამოქვეყნებულია საფრანგეთის სავაჭრო ბალანსი, ბალანსის მოცემულ ცნობებიდან სჩანს, რომ უკანასკნელ 7 თვის განმავლობაში, მიმდინარე წლისა, ემჩნევა შესამჩნევი ნაკლებობა იმპორტისა გასულ წელთან შედარებით. შემოზიდვა შემცირდა 13 და მეტ მილიონ ფრანკით ექსპორტი კი 2 მილიარდ ფრანკით. იმპორტის საერთო ციფრი გამოიხატება 11 და მეტ ბილიონ ფრანკში წინააღმდეგ 30-სა გასულ წლის.

ვარსკვლავთ მრიცხველთა კონგრესი.

ნაუენი. 23 აგვისტო (რადიო). ნოტდამში 1 აგვისტოს გაიხსნა ვარსკვლავთ მრიცხველთა საერთაშორისო კონგრესი. ყრილობას დაესწრნენ გამოჩენილი ვარსკვლავთ მრიცხველნი, ინგლისის, ჰოლანდიის შვეიცარიის და სკანდინავიის ნახევარ კუნძულის ქვეყნებიდან.

იტალია

ანტანტის კრიტიკა.

ნაუენი, 23 აგვ. (რადიო). იტალიის ყოფილი პრემიერი ნიტტი სასტიკ კრიტიკას უწევს ანტანტის პოლიტიკას ზემო სილეზიაში. განსაკუთრებით იწვევს აღელვებას ნიტში

ნ. ლენინი.

სასურსათო გადასახადის შესახებ

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 139)

შეხედით რუქას რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისას. ჩრდილოეთისაკენ ვოლოგდიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დონის როსტოვიდანა და სარატოვიდან, სამხრეთისაკენ ორენბურგიდან და ომსკიდან, ჩრდილოეთისაკენ ტომსკიდან გადაჭიმულია თვალუწვდენელი უზარმაზარი მანძილი, რომელზედაც თამამად დაეტეოდა რამდენიმე ათეული კულტურული სახელმწიფოებისა და მთელ ამ მანძილზე გამეფებულა პატრიარქალური ნახევრად ველური და წმინდა ველური წესი ცხოვრებისა. განა ესევე არ არის რუსეთის სხვა მივარდნილ კუთხეებში? ყველგან, სადაც კი ათეული ვერსი სასოფლო გზებსა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ათეული ვერსი უგზოობისა აშორებს სოფლებს რკინის გზებს, ამ მატერიალურ კავშირს კულტურისა, კაპიტალიზმსა, მსხვილ მრეწველობასა და დიდ ქალაქს შორის, განა იგივე პატრიარქობა, ობლომოვობა და ნახევრად ველურობა არ შეგვხვდება?

განა შეიძლება უშუალოდ განხორციელება ამ რუსეთში მოჭარბებულ მდგომარეობიდან სოციალიზმში გადასვლისა? დიახ, შეიძლება, მაგრამ ერთის პირობით კი, რომელი პირობაც ჩვენ ეხლა ზედმიწევნით ვიცით ერთი დიდი და დასრულებულ გამოკვლევის წყალობით. ეს პირობა გახლავთ ელექტროფიკაცია. ჩვენ რომ ათობით და ასობით ავაგოთ სარაიონო სადგურები ელექტრონისა (ჩვენ ახლა ვიცით სად, როგორ შეიძლება და როგორ უნდა შევძლოთ კიდეც მათი აგება) ჩვენ რომ ამ თითოეულ სადგურიდან გავუგზავნოთ ძალა ელექტრონისა თითოეულს სოფელში, ჩვენ რომ ვიშოვოთ საკმაო რიცხვი ელექტრომოტორებისა და სხვა საჭირო მანქანებისა, მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა გარდამავალი საფეხურები, მაშველი რგოლები პატრიარქალურ მდგომარეობიდან სოციალიზმში გადასვლელად. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ „ერთი“ პირობის შესაქმნელად საჭიროა ათი წელიწადი მარტო წინასწარ, მორიგ მუშაობის დასამთავრებლად. შემოკლება ამ დროის შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული რევოლიუცია გაიმარჯვებს ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან ინგლისი, გერმანია და ამერიკა.

მახლობელ წლების განმავლობაში კი ჩვენ უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ მხოლოდ იმ მაშველ რგოლებზე, რომლებიც გაგვიადვილებენ პატრიარქალობიდან სოციალიზმში გადასვლას. „ჩვენ“ ხშირად გვიხდება ხოლმე აზროვნების ასეთი მიჯელობა: „კაპიტალიზმი ბოროტებაა, სოციალიზმი კი სიკეთე და ბედნიერებაა“. მაგრამ ასეთი მიჯელობა სწორე არ არის, ვინაიდან ჩვენ გვავიწყდება არსებული საზოგადოებრივ ეკონომიური წყობილების მთელი რაობა და ჩავსჭიდებივართ მხოლოდ ორ მათგანს.

კაპიტალიზმი ბოროტებაა სოციალიზმთან შედარებით, მაგრამ იგივე კაპიტალიზმი სიკეთე და ბედნიერებაა თუ მას შევადარეთ საშუალო საუკუნეებში არსებულ წესს ცხოვრებისას, ან წვრილ წარმოებას, ან წვრილ მწარმოებელთა გათიშვასთან დამოკიდებულ ბიუროკრატიზმს. რამდენადაც ჯერ ჩვენ არ შეგვიძლია განხორციელება წვრილ წარმოებიდან სოციალიზმში უშუალოდ გადასვლისა, იმდენად კაპიტალიზმი აუცილებელია, განსაზღვრულ ზომამდე სტიქიური, ბუნებრივი შედეგი წვრილი წარმოებისა და გაცვლა გამოცვლისა კაპიტალიზმი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ უნდა მოვიხმაროთ იგი (ნამეტნავად სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის კალაპოტში ჩაყენებით) როგორც მაშველი რგოლი წვრილ წარმოებისა და სოციალიზმს შორის, როგორც საშუალება, გზა, ხერხი ღონისძიება საწარმოო ძალთა აღორძინებლად.

აიღეთ საკითხი ბიუროკრატიზმის შესახებ და შეაფასეთ იგი ეკონომიურის მხრით. 1918 წლის 5 მაისს ბიუროკრატიზმზე სრულებით არ გვიფიქრია. ნახევარ წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია და ძველი ბიუროკრატიული აპარატი თავიდან ბოლომდე დავამსხვრიეთ, ჩვენ ჯერ კიდევ აღარ ვგრძნობდით ამ ბოროტებას.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი. რ. კ. პ. მერვე ყრილობაზე, 1919 წლის 18-23 მარტს მიღებულ იქმნა პარტიის ახალი პროგრამა. ამ პროგრამაში ჩვენ ხელს აღარ ვაფარებთ ბოროტებას და მის გამოსამჟღავნებლად, მის სამარცხვინო ბოძზე გასაკრავად, მის წინააღმდეგ აზრისა ნებისა და ენერგიის ასამოძრავებლად, ამ ბოროტებასთან ბრძოლის გასამართავად, ჩვენ პირდაპირ და აშკარად ვამბობთ, რომ საბჭოთა წესწყობილებაში ბიუროკრატიზმი ნაწილობრივ მაინც აღორძინდა.

გავიდა კიდევ ორი წელიწადი. 1921 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა მერვე ყრილობის შემდეგ, რომელმა ყრილობამაც იმსჯელა ბიუროკრატიზმზეც (დეკ. 1920 წ.) მე 10 ყრილობის შემდეგ რომელმა ყრილობამაც გაითვალისწინა იმ დავათა შედეგები, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ბიუროკრატიზმის ანალიზთან, ჩვენ დავინახეთ რომ ბოროტება იგი წინ გამოგვეჭიმა უფრო ნათლად, უფრო გარკვევით, უფრო მრისხანედ.

როგორია ეკონომიური ფესვები ბიუროკრატიზმისა? ეს ფესვები უმთავრესად ორგვარია. ერთის მხრივ განვითარებულ ბურჟუაზიის მუშათა რევოლიუციონერ მოძრაობის წინააღმდეგ ესაჭიროება ბიუროკრატიული აპარატი, პირველ ყოვლისა მხედრობა და სასამართლო და სხვა. ეს ჩვენ არა გვაქვს ჩვენი სასამართლოები კლასობრივია ბურჟუათა წინააღმდეგ მოწყობილი. ჯარი ჩვენი კლასობრივია, იმავე ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე. ბიუროკრატიზმი ჯარში არ არის. იგი არის იმ დაწესებულებებში, რომლებიც ჯარს ესახურებიან. ჩვენ შორის სულ სხვა ეკონომიური ფესვი აქვს ბიუროკრატიზმს: ეს არის გათიშულობა, განკვეთილობა წვრილ მწარმოებელისა, მისი სიღატაკე, უკულტურობა, უგზოობა, უწიგნობა, უქონლობა აღებ-მიცემობისა, კავშირისა და ზეგავლენისა, მრეწველობისა და მიწად-მოქმედების შორის. უმთავრესად ეს შედეგია სამოქალაქო ომისა. როცა ჩვენ ალყა შემოგვარტყეს ყოველ მხრივ, როცა მოგვწყვიტეს მთელ ქვეყანას, შემდეგ პურის ბოლოებს სამხრეთს, ციმბირს, ნახშირს, ჩვენ არ შეგვეძლო მრეწველობის აღორძინება. ჩვენ იძულებული შევიქენით მიგვეღო „სამხედრო კომუნიზმი“ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს თავგანწირულ უკიდურესობისა: ავიტანეთ ნახევრად მშიერი და უფრო უარესი არსებობა, მაგრამ რითაც უნდა დაგვჯდეს, მიუხედავად ჯერ არ გაგონილ ნგრევისა და მსხვერპლისა, დავიცავით მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. ვამბობთ ჩვენ და თავი არ დავაშინებინეთ იმას, რამაც დააშინა მენშევიკები და ესერები (შიშისაგამო ბურჟუაზიის მიმდევარნი), მაგრამ იმან, რამაც გაგვიმარჯვებინა ალყაშემორტყმულ ქვეყანაში, სრულიად გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი მხარეები 1921 წლის გაზაფხულზე, სწორედ იმ დროს, როცა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკიდან განდევნილ იქნენ უკანასკნელი რაზმები თეთრგვარდიელთა. „ჩაკეტვა“ ყოველგვარ აღებმიცემობისა ალყა შემორტყმულ ციხე კოშკში შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. მასსათა განსაკუთრებულ გმირობის მეოხებით ეს ავიტანეთ სამს წელს. შემდეგ გაღატაკება წვრილი მწარმოებლისა უფრო გაძლიერდა, მსხვილი მრეწველობის გაცხოველება უფრო გადაიდო. ბიუროკრატიზმი, როგორც მემკვიდრეობა „ალყისა“, როგორც ზედნაშენი წვრილ მწარმოებლის გათავთავებისა და დაჩაგვრებისა, მთელი თავისი სიგრძე სიგანით წინ გამოგვეჭიმა.

ნ. ლენინი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 4

სიმშილი

სიმშილი! რა შემზარავი სიტყვა! სიმშილი! გაჭირვებული ხალხის თანამგზავრი, უღმობელი სტუმარი მუშათა და გლეხებისა; შენა ხარ, რომ მშრომელ მასებს მუდმივ ატყდები თავს, გადავარდები ერთი ქვეყნიდან მეორეში მუშა-გლეხთა საწამებლად და საქენჯნავად.

ვისი ბავშური გალურჯებული სახეები დაძრწიან დამწუხრებულ მიმკვდარებულ ქუჩებში, ეგების რაიმე შეჭამოდს წავაწყდეო, ვისი დამშეული დედები ჩაცვივნული ლოყებით თვალებში საშინელების გამომსახველნი უმზერენ მშიერ ჩვილთა სიკვდილს, და დღედღიდან საჭმლის თხოვასა და კვილში.

ვისი დასევდიანებული თვალები ენთებიან შავი ცეცხლით და ხელები იკუმშებიან უიმედო სასოწარკვეთილებაში.

ვისი განიერი მხრები იხრება დაუზოგველი სიმშილისაგან, რომელსაც მოაქვს გაჭირვება, უიმედობა და სიკვდილი.

ეს მშრომელთა ბავშვებია.

ეს მუშათა და გლეხთა დედები და დებია.

ეს ჩვენი ძმები—მუშები და გლეხებია.

სიმშილობა ვოლგის მხარეში ეს ისეთი რამაა, რომელიც გულს უკოდავს მთელი ქვეყნიერების მშრომელ ხალხს, რომელმაც თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა რუსეთის მუშათა და გლეხთა ბედ-იღბალს და რუსეთის რევოლიუციის მონაპოვრებს.

სიმშილით სიკვდილი რუსეთის მუშის, ან გლეხისა—ეს ლახვრის ჩაცემაა რევოლიუციისათვის, მშრომელთა საერთაშორისო მოძრაობისათვის, ეს მახვილის ჩაკვრაა განთავისუფლების საერთო საქმისთვის საქართველოს მუშის და გლეხის ქალო!

განსაჯე რას გვეუბნება ვოლგის მიდამოების სიმშილობა, მიმოიხედე გარშემო და მოიფიქრე, ვის შეუძლია მათ დაეხმაროს.

ბურჟუაზია.

ეს ფუფუნებასა და განცხრომაში მყოფი, რომელიც მიჩვეულია მშრომელთა მხრებზე ცხოვრებას, რომელიც გაიხიზნა საზღვარ-გარეთ და რუსეთის ბნელ კუნჭულებში—თავისი ბრილიანტებით და კაპიტალით, რუსეთის მუშების და გლეხთა მოძულე.

სპეკულიანტები.

გაწითლებული კისრით, დასქელებული ტუჩებით, ჯიბე სავსენი მშრომელი ხალხისთვის წანართმევი სიმდიდრით, მოვაჭრენი მალულად და ცხადად ყოველგვარი საქონლით, ვალიუტით, ძვირფასეულობით, ფულით, რომელთაც სძაგთ საბჭოთა მთავრობა და მთლად მშრომელი ხალხი, რადგანაც დრო-გამოშვებით ღებულობს მისგან მუჯლუგუნს და უნდა მოსპოს, ბედნიერი ცხოვრება ჩაშხამდეს მის ხელით.

მოხელეები.

ხუცენი, თავად-აზნაურნი და ყოველგვარი ბატონ-ყმური რუსეთის ნაძირალები, რომლებიც ოცნებობენ რევოლიუციონური მასსების დახრჩობას და სათავეში ყოფილ ბატონ პატრონთა ისევ დაყენებას.

მშრომელი ხალხი.

მუშები და გლეხები—მხოლოდ ის, ვინც თვითონ განიცადა სიმშილი, რომელიც დღესაც ყოველგვარ საშინელ შევიწროებათა მიუხედავად ქმნის რევოლიუციის დიად საქმეს, ვინც ას წლობით გმინავდა პარაზიტების, თავად აზნაურთა და ბატონთა უღლის ქვეშ, ვინც დაღვარა სისხლი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვინც არ დაჰკარგა და კვლავ იბრძვის უკეთესი მომავლისათვის. მხოლოდ მას, ვისი ინტერესები მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთის მუშებსა და გლეხებთან, მხოლოდ მას შეუძლია დახმაროს დამშეულ ძმებს, ნამდვილად ეხმარება და დაეხმარება მათ!

საქართველოს მუშა-ქალო და გლეხქალო. შენ, ამ მოკლე ხანში განთავისუფლებულო საბჭოთა მთავრობისაგან, ჩაბმულო საერთო რევოლიუციონურ ფერხულში, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადე მთელი ქვეყნის მშრომელ მასსებს.

დადგა მომენტი, როცა შენ უნდა გამოიჩინო შეგნება, სიფხიზლე და თავის ღარიბ საშუალებათაგან გაიღო წვლილი რუსეთის დამშეულ დედების დასახმარებლად, შემწეობა აღმოუჩინო მათ მომაკვდავ ბავშვებს და ამით დაამტკიცო, რომ მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს გული ერთნაირად უფეთქს, რომ შენი გულიც იზიარებს იმ ტანჯვას და უბედურებას, რომელიც ვოლგის მოსახლეობას თავს დაატყდა.

ხონია.

ქალთა განყოფილებების ამოცანები საქართველოში.

ქალთა განყოფილებების მუშაობა საქართველოში ახლაა ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

აქამდის მთელ მუშაობას რაღაც დამოუკიდებლობის ბეჭედი ესვა, ე. ი. დამოუკიდებელ განყოფილებიდან აგიტ-პროპ-ის ქვე განყოფილებად გადაკეთება და ისევ ცალკე განყოფილებად გარდაქმნა ისეთ არა ნორმალურ მდგომარეობას არ შეეძლო არ შეეფერხებინა, მავნე გავლენა არ მოეხდინა ახალი ორგანიზაციის მუშაობაზე.

ამ ჟამად რყევის ხანა გათავებულია და ქალთა განყოფილება განყოფილებათა გარკვეულ სახეს ღებულობს.

ამხანაგებისთვის ადგილებზე, რომელთაც მცირე მომზადება აქვსო და პრაქტიკული გამოცდილება თითქმის არ მოეპოვებათ, მუშაობა ძნელი იქნება პირველ ხანებში. ამას გარდა განსაკუთრებული ისტორიული და ყოფა-ცხოვრების პირობების გამო, მუშაობას საქართველოში თავისებური ხასიათი ექნება, რადგანაც არ არის მსხვილი მუშათა ცენტრები, რომელიც თავს უყრიდეს 10,000 ბით მუშა-ქალებს და წლობით სჭედავდეს მათ კლასობრივ შეხედულებებს. რადგანაც საქართველოს ქალი ახლო დამოკიდებულებაში იყო აღმოსავლეთის ქალთან, ამ მონა-მხევალთან, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი იყო და უფრო გათვითცნობიერებული ბევრი ცრუმორწმუნეობა და მავნე ჩვეულება შეითვისა და დღემდისაც შერჩა.

საქართველოს ქალი უმეტეს შემთხვევაში არის გლეხობის მასიდან წვრილ-ბურჟუაზიული პსიქოლოგიით და მესაკუთრეობითი მიდრეკილებებით.

ახალგაზრდა ქალთა განყოფილებებმა ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და მტკიცედ დაიმახსოვრონ, რომ ფართო გლეხურ მასაში მუშაობა თხოულობს სერიოზულ ყურადღებას და ფრთხილად მიდგომას.

აუცილებელია სწორი გზის გამონახვა მასებთან ურთი ერთობის დაჭერის დროს და არსებული პირობების მთელი სირთულის მხედველობაში მიღება.

უნდა შევძლოთ, რომ ქალთა განყ. მუშაობით დაინტერესებული პირებს გული არ აუცრუვდეთ და გავაერთიანოთ მშრომელ კოლლექტივში საქართველოს მრავალ-ფეროვანი ეროვნული შემადგენლობა.

პირველად შეკრებილმა საქ. ქალებმა დაამტკიცეს, რომ მათ არა აქვთ სხვადასხვა ენა რევოლიუციის მონაპოვართა, ახალი აღმშენებლობის და თავისუფლების საკითხებში.

თათრის და სომხის ქალების მოთხოვნით მთელი ყრილობის აპლოდისმენტების ქვეშ საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ქალთა რევოლიუციონურ ერთობას.

ამიერიდან მუშაობის ამ მხარეს უნდა მიექცეს ქალ. განყოფილებათა მთელი ყურადღება.

მასსების სიღრმეში მისვლა გამაერთიანებელი ლოზუნგებით, ქალის აღძვრა შემოქმედებისა და თვითმოქმედებისათვის, პრაქტიკულ საბჭოთა მუშაობაში ჩაბმა, მოხერხებულად გადაშლა კომპარტიის მიზნებისა, მთელი ქვეყნიერობის მშრომელ მასსების კომუნიზმისათვის დაჭიმული ბრძოლის გაცნობა, ქალის ჩათრევა მებრძოლ კომპარტიის რიგებში—აი რა მიზანი და ამოცანები უნდა დაედვას საფუძვლად ჩვენს მუშაობას.

ადგილებზე ყველა ეროვნებათა გაერთიანება, პრაქტიკული და პოლიტიკური მუშაობა ქალებში, კლასობრივ-პროლეტარული აღზრდა, მუშაობის სწორი სწარმოება წმინდა ქალთა მოძრაობისაკენ გადაუხრელად, რაც ყველგან ხდებოდა მუშაობის პირველ ხანებში და ემჩნევა აქაც.

აი რას უნდა მიექცეს გაორკეცებული ყურადღება ახალგაზრდა ქალ. განყოფილებებისა. ეხლანდელ პირვანდელ მომენტში. მუშაობის შემდეგი განვითარება პოვებენ ორგანიზაციულ გზას და ფორმებს და გაკეთებული სამუშაოს შეცდომებს გამოაჩენენ. რომ ქართველ მშრომელ ქალთა მოძრაობა უფრო ბრწყინვალე, სხივნათელი გახადონ თავისუფალ მშვენიერ საქართველოს დაგვირად.

ხ. დალნაია.

სიტყვიდან საქმეზე

ეცემა უკანასკნელი რგოლები, ჩვენ ვუახლოვდებით სიმართლის და სამართლიანობის დიადი იდეის განხორციელებას. „ქვეყანა მოძალადეთა დანგრეულია“. „ვინც იყო არაფერი, გახდება ყველაფერი“, ამაში ეხლა არავინ ეჭვობს, მხოლოდ ვიჩქარებით ცოცხალ ნაყოფიერ სამუშაოზე. თვითმპყრობელურ წესწყობილებამ და ბურჟუაზიამ იმდენი ტალახი, სიბინძურე და საშინელება დაგვიტოვეს, რომ წითელ თავისუფლ განთიადის ფონზედაც გამოყოფილად მოჩანს. ის თვალებს სჭრის და მოგვიწოდებს შემოქმედებითი მუშაობისათვის დაუზოგველად, ყველას თავის დარგში და მოწოდების მიხედვით. მხოლოდ მაშინ მივაღწევთ საწურველ შედეგებს. ბევრი საქმეა გარშემო და ჩვენც უნდა დამხმარე მოვევლინოთ ახალ მთავრობას საერთო მიზნის საჩქაროდ განხორციელებაში.

ამხ. მოქალაქენო, დედა-მუშებო, მარტოხელა დედებო, რომელნიც იძულებულნი ხართ მოიშოროთ თავიდან თქვენი ბავშვები, თქვენ მოგიწოდებთ დაანგრიოთ პატარა საპყრობილეები სადაც იტანჯებიან ასობით ბავშვები—ეს ჩვენი საქმეა. წითელ არმიელები არაფერს იშურებენ ჩვენი ბავშვებისათვის. საბჭოთა მთავრობა მედგრად იცავს ჩვენს ინტერესებს, ჩვენ მათთან, ისინი ჩვენთან, მხოლოდ ისინი რომელთათვის ძვირფასია ნორჩი თაობის ინტერესები, ინტერესები მომავლისა—მხოლოდ ჩვენ უნდა ვწყვეტდეთ ჩვენი ბავშვების ბედს.

ძირს პროტექციები, თბილ ადგილებზე მოკალათება—ეს ბურჟუაზიული რეჟიმის ნაშთი.

გზა ყველა თავისუფალ მუშაკს, თავისუფლება ყველა მართალ ხმას. „მე ჩამოვხტი კიბედან ისარივით, რომ მათ ვერ დამეჭირა, ლაპარაკობს თავშესაფარიდან გამოქცეული ექვსი წლის ბავშვი. ქუჩაში თავს ბრუ დამეხვა, მერე თავი კარგად ვიგრძენ, რომ გავიქეცი მათგან. ყველა გაიქცევა, ვისაც დედა არა ყავს ბოლშევიკებთან. ისინი კარგებია, ისინი რამდენ პურს გვიგზავნიან მხოლოდ ჩვენ გვძლევენ პატარა ნატეხებს და ჩვენ მშივრები ვართ. ბავშვები, როცა სახლში მიდიან, უნდაც ეს ნატეხები შეინახონ და სახლში უჩვენონ, მაგრამ სხვები აძლევენ და ამისთვის უსადილოდ დატოვებით სჯიან.

ამხ.—დედებო! საბჭოთა მთავრობა ჩვენ არ გვივიწყებს ერთ წამსაც, მხოლოდ აღმასრულებელი ძალა თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს, და ამაში ასეთი რამ დაუშვებელია. ჩვენ თვითონ უნდა გავიკვლიოთ გზა და მოვაწყოთ ბავშვთა გამოკრების და აღზრდის საქმე. ეხლავე უნდა მობილიზაცია უყოთ ყველა შესაძლოებას, რომელსაც საბ. მთავრობა გვაძლევს და გარდავქმნათ დამღუპველი პირობები, რომლებშიაც იმყოფებიან თავშესაფარების ბავშვები.

ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები, რომ შეუძლებელი გახდეს ბიუროკრ-მოქმედება ბავშვთათვის დანიშნულ სანოვაგის გადაცემაში. და ვეცადოთ, რომ ბავშვმა მიიღოს ყველაფერი კუთვნილი მხოლოდ ამ გზით შევინახავთ ბავშვთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

შემთხვევითი შენობები, დაბალი ჭერიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც ბურჟუაზია აძლევდა საქველ. დაწესებულებებს უნდა შეიცვალოს მაღალი, ვრცელი ნათელი ოთახებით.

ჩვენ უნდა საკუთარი ძალ-ღონით დავეხმაროთ ბავშვთა სახლების, თავშესაფარების მოწყობაში. ყველაფერი ბავშვებისათვის—აი საბჭოთა მთავრობის ლოზუნგი, სადაც სათავეში სდგანან ისევ მშრომელნი. ყველაფერი ბავშვებისათვის უნდა გახდეს ჩვენს ლოზუნგადაც. მაშ ხელი გამოვღლოთ და თვითვე შევუდგეთ ჩვენი ბავშვებისთვის უკეთესი ცხოვრების მოწყობას. საქართველოს ქალებს სამუშაოზე!

ჯანსაღი მაგარი თაობის შესაქმნელად, რომელმაც უნდა დაამთავროს კაცობრიობის განთავისუფლების დიადი საქმე და დაასრულოს ჩვენ მიერ დაწყებული დიადი ბრძოლა კომუნიზმისათვის. ყველაფერი ბავშვებისათვის—აი დღევანდელი დღის ბრძოლის ძახილი.

მუშაობა მაზრებში

ბათომი.

ქალ. განყ. არსებობს აპრილის 1 დან. მუშაობა მოწყობილია და წარმატებულად მიდის. სდგება კრებები, მიტინგები, კონცერტები კავშირებში, დაწესებულებებში, საწარმოებში და ქალაქის უბნებში. თემები: აღმოსავლეთის ქალის მდგომარეობა. დელეგატთა კრებები რეგულიარულად იკრიბება, ნიშნავენ კანდიდატებს საბჭოს განყ. გასაგზავნად. შაბათობებში მონაწილეობენ კომუნისტი და უპარტიო ქალები. ქობულეთში მუშა ქალთა განყოფილებამ გახსნა წერა-კითხვის სკოლა ქართულ და რუსულ ენებზე.

თელავი.

ქალ. განყ. მოწყობილია. მოხდა 14 საორგანიზაციო კრება კომუნისტ—და უპარტიო ქალების ქალ. განყ. ხელმძღვანელობით. იყო საქალაქო კრებაც. მუშაობა სწარმოებს ოჯახის მუშა ქალთა და გლეხ ქალებში, მაგრამ სუსტი, მომუშავეთა უყოლობის გამო. სდგება დელეგატთა კრებები.

სიღნაღის მაზრა.

მოწყობილია ქალ. განყ. მოწვეულია 7 საერთო კრება. იხილებოდა კითხვები: კავშირი რაიონებთან, საბავშვო ბაღების ორგანიზაცია, წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია და სხ.

მუშაობა სწარმოებს ყველა რაიონის ქალებში, განსაკუთრებით მეთამბაქოეთა შორის.

ლაგოდეხი.

სიღნ. მაზრის. მოხდა ქალთა საერთო კრება, რომელიც ცოცხლად ჩატარდა. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს ქალის ჩამორჩენილობას და გამოსთქვამს სურვილს, დაჩქარებულ იქმნას მჭიდრო კონტაქტი ყველა სოფლებთან საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ სამუშაოდ.

თბილისის მაზრა.

ქალ. განყ. მოწყობილია. უმეტეს მუშაობას განყოფილება რაიონებში აწარმოებს. თითქმის ყველა სოფლებში ხდება ქალთა კრებები, მიტინგები, საუბრები გლეხ ქალთა შორის. კითხვები იმყება საერთო—პოლიტიკური ხასიათისა, აგრეთვე პრაქტიკულიც, მაგ. მოწყობა სამკითხველოების, საბავშვო მოედნების, წერა-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლისა და სხვ. ასეთი კრებები გაიმართა: ზემო-ავჭალაში, მარინფელდში, ქვემო ავჭალაში, გომბორში, ყარაიაზში, მანგლისში და სხვ. კრებები მიდის დიდის სიცხოველით. გლეხ ქალები თანაგრძნობით არიან განწყობილნი.

ქ. თბილისში.

სწარმოებს მუშაობა: რაიონებში, ფაბრიკა-ქარხნებში სდგება საუბრები, კეთდება მოხსენებები თანამედროვე მომენტზე, ჯანმრთ. სახ. კომის მუშაობაზე და ქალ. განყოფ. მიზნებსა და ამოცანებზე. სდგება დელეგატთა კრებები, რომელიც მოხდა 11. დელეგატი-ქალები გაგზავნილნი არიან საბჭოს განყოფილებებში, საბინაო განყ. 11, სოც. უზრუნ. 1, სახ. გან. 15, გარდა ამისა გაგზავნილია სახ. განათ. კომისარიატში და განყ. 10 კომუნისტი-ქალი, სამუსიკო სტუდიის კურსებზე 3 დელეგატი. ქალ. განყ. აწარმოებს მუშაობას სახ. ჯანმრთ. კომისარიატში ბავშვთა მდგომარეობის გამომკვლევ კომისიაში. ქალ. გან. მიერ გაგზავნილია 50 მუშა-ქალი სანიტარულ კურსებზე. დელეგატები თავის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებენ დელეგატთა კრებებზე და ქალ. განყოფილებასთან. მიღებულ იქნება ზომები, რომ ასეთი მოხსენებები დელეგატებმა გააკეთონ ფაბრიკა-ქარხნებში. ამ ჟამად დელეგატთა კრების პირველი მოწვევა დამთავრებულად ითვლება და მეორე მოწვევის დელეგატების არჩევა დაწყებულია. დელეგატთა კრება მეორე მოწვევისა გაიხსნება ერთ კვირაში.

მუქარა საფრანგეთისა გერმანიის მიმართ. საფრანგეთი იმუქრება რურის ოკუპაციით, ფაქტიურათ ამტკიცებს მხოლოდ თავის მისწრაფებას გერმანიის განადგურებისას. დღესდღეობით ევროპაში არ არის [illegible] უფრო განადგურებული სახელმწიფო, მაგრამ ისიც კი საფრანგეთის ზეგავლენით გაჭყლეტილია იმპერიალისტური მიზნებით და ოცნებობს უკრაინის შემოერთებაზე. ნიტტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ნამდვილი საფუძვლის გამოძებნა მშვიდობიანობისათვის. აუცილებელია არა მარტო შეიარაღების წინააღმდეგ ზრუნვა, არამედ ანტანტის და განსაკუთრებით საფრანგეთის სურვილების შეზღუდვაც.

შვეცია.

ახალგაზრდათა ყრილობა

ნაუენ. 23 აგვისტო. (რადიო). კოპენჰაგენში გაიხსნა დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ყრილობა. ყრილობებზე წარმოდგენილია; გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, გოლანდია, შვეიცარია, შვეცია, დანია და ნორვეგია. საფრანგეთის დელეგატმა წინადადება შეიტანა ანტანტის ქვეყნების ახალგაზრდობის და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობასთან შერიგებაზე. ევროპამ აწი აღარ უნდა იცოდეს შური და მტრობა, განაცხადა საფრანგეთის დელეგატმა. ეს წინადადება ძალიან თანაგრძნობით იქნა მიღებული.

ქრონიკა

— **ქალაქის სკოლების და ბავშვთა თავშესაფარის მდგომარეობა.** თბილისის ქალაქის რევკომის სხდომაზე მოსმენილ იქმნა მოხსენება სკოლების სათბობ მასალის და ბავშვთა თავშესაფარის მდგომარეობის შესახებ, რომლის გამოც რევკომმა დაავალა ეთხოვოს საქართველოს რევკომს, რათა ნება მისცეს დაიჭიროს შეშა აღნიშნულ დაწესებულებათათვის კერძო მოიჯარადრეებთან თავისუფალ ფასებში.

— **რეევაკუაცია რუსეთში.** საქარ. ცენტრო-ევაკა შეუდგა იმ რუსის მოქალაქეთა გამგზავრებას, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება. ყველა ჩაწერილთა რიცხვი რუსეთში წასასვლელად 400 კაცამდეა, რომელნიც იგზავნებიან პარტიობით შემდგარი 30 კაცისაგან განსაკუთრებული ვაგონებით. ამასთან ერთი მათგანი ინიშნება უფროსად. პირველი პარტია წამსვლელთა გავა 24 აგვისტოს საბარგო-სამგზავრო მატარებლით № 22 ამ პარტიით გამგზავრებულნი მიიმართებიან მოსკოვზე გავლით პეტროგრადის, იაროსლავის, ტვერის, და ვლადიმირის გუბერნიებში, მეორე ჯგუფი გაემგზავრება ხუთშაბათს, 25 აგვისტოს იმავე მიმართულებით მოსკოვის, ტულის, პსკოვის, ოლონეცკის რიაზანის, ნიჟეგოროდსკის, ვიატკის, ყაზანის, ვორონეჟის და კიევის გუბერნიებში.

მოქალაქენი პოლონეთისა, ლატვიისა, ლიტვისა, და ესტონიისა, რომელთაც სურთ სამშობლოში წასვლა, გაიგზავნებიან. თავიანთ დიპლომატიურ წარმომადგენლებისაგან ბათომიდან ანუ ბაქოდან. მაგრამ შეუძლიათ საქართველოს ცენტროევაკის საშუალებითაც გამგზავრება.

— **სამმართველოს განყოფილება სიღნაღში.** სიღნაღში 5 აგვისტოს გახსნა პოლიტიკური განათლების განყოფილება მთავარ პოლიტიკურ განათლების სამმართველოს ინსტრუქტორმა. ამ დღეებში დასრულდება ლაგოდეხის პოლიტიკური განათლების ორგანიზაცია.

— **პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოში.** პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს საგიტაციო განყოფილება მალე გამოუშვებს საგიტაციო ფურცლებს და ბროშიურებს, როგორც ორგინალს, ისე გადმოკეთებულ ქართულად.

—მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო-იუმორისტული ჟურნალ „ყუმბარის“ მორიგი № მე-2.

— მზადდება და დაიბეჭდება „რევოლიუციის პოეტები“ ტიციან ტაბიძის რედაქტორობით.

წარმოებითი პროფკავშირებში

საქართველოს სამთო მუშათა ყრილობა

ყრილობა შესდგება 25 სექტემბერს ა. წ.

წარმომადგენლობის ნორმა: ორგანიზაცია, რომელსაც ყავს 50 წევრი, ყრილობაზე აგზავნის ერთ დელეგატს: დანარჩენ ას წევრზე იგზავნება თითო დელეგატი. რომელსაც 50 წევრზე ნაკლები ყავს მხედველობაში არ მიიღებიან.

ორგანიზაცია, რომელსაც ყავს 50 წევრზე ნაკლები უერთდებიან დანარჩენ დელეგატს არჩევნებისათვის.

დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა. 2. ცენტრალურ გამგეობის ანგარიშები. 3 მოხსენება ადგილებიდან. 4. მიზანი პროფკავშირებისა. 5. სატარიფო საკითხი. 6. მოხსენება სამთო განყოფილების გამგისა. 7 კავშირის მონაწილეობის მიღება სამთო მადნეულობის დამუშავების სამრეწველოს მართველობაში. 8. მუშების მომარაგება. 9. ორგანიზაციული საკითხი. 10 კულტურულ განმანათლებელი მუშაობა. 11. ცენტრალურ გამგეობის არჩევნები. 12. სარევიზიო კომისიის არჩევა. 13. მიმდინარე საქმეები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მომუშავეთა კავშირის კონფერენცია.

ამხ. მოვშენზონის მოხსენება დროებით ცენტრალურ გამგეობის მოქმედების შესახებ. კავშირი აღმოცენდა თფილისში 1921 წ. აპრილის 10 ს. 4 არსებულ პროფკავშირებისაგან: სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთა, ბანკების მოსამსახურეთა და სახელმწიფო მოსამსახურეთა ორი კავშირისაგან. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების მოსამსახურეთა ინიციატივით მოწვეულ იქნა სადელეგატო კრება, რომელმაც უწოდა თავის თავს საქართველოს საბჭოთა მუშათა კავშირი, არა იმიტომ, რომ მას სურდა სხვის უფლების უზურპაცია, არამედ იმიტომ, რომ იმყოფებოდა რა რესპუბლიკის ცენტრში, მას შეეძლო ერთი სრულიად საქართველოს კავშირის შექმნა. მეტი ანგარიშის წარმოდგენა არ შეიძლება, რადგანაც მუშაობა ორგანიზაციის პროცესში დროებით გამგეობის არჩევნების შემდეგ ყველა დაწესებულებაში მოხდა ადგილობრივ კომიტეტების ხელ ახალი არჩევნები. არჩევნების დროს ხელმძღვანელობდნენ ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების დებულებით. სულ თბილისში 80 ადგილობრივი კომიტეტია. გაიგზავნა ინსტრუქტორები პროვინციაში კავშირების მოსაწყობად იქ, სადაც ასეთები არ იყო. მათ მოაწყეს ორგანიზაციები გორში, ყვირილაში და სხვა ადგილებში. 12 ივნისს შესდგა თათბირი სრულიად საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების კონფერენციაზე ჩამოსულ წარმომადგენლებისა და ამ თათბირზე დაადგინეს, მუდმივი კავშირის დამყარება, მაგრამ ამის შემდეგაც არ იქმნა გამოგზავნილი არც ერთი ოქმი და ანგარიში. რუსეთის საბჭოთა მუშაკთა ცენტრალურ გამგეობასთან მუდმივი კავშირი გვაქვს და იგი გვიგზავნის ყველა თავის მასალებს. ეკონომიური განყოფილების მუშაობა იყოფა სამ ნაწილად: ა) საორგანიზაციო, ბ) ნატურად მომარაგების, გ) მუშათა ძალების აღრიცხვა განაწილების, პროვინციაში საორგანიზაციო მუშაობა არა სწარმოებდა, რადგანაც იქ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული თვით კავშირების შესაქმნელი საორგანიზაციო მუშაობა. მუშათა ძალების აღრიცხვა განაწილების საქმეში გაკეთებულია შემდეგი:

კავშირის წარმომადგენლის განკარგულებაში გადავიდა ა. წ. მუშათა ძალების აღრიცხვის „სანტელიგენტო მაგიდა“. დაარსებულია გამომცდელი კომისია, რომელიც სცდის მუშა ცოდნას. მომარაგების ქვეგანყოფილების მუშაობა გამოიხატებოდა: ტანისამოსის, ფეხსაცმლის, [illegible], მანუფაქტურის მიწოდებაში, ფეხსაცმლების დაკერებაში, სასადილოს გახსნის დახმარებაში და ბავშვების რძით მომარაგებაში განაწილებულია 20 წყვილი სრული კომპლექტი ტანისამოსისა, დაკერებულია 350 წყვილი ფეხსაცმელი. 1 აგვისტოსთვის სადილს ღებულობდა კავშირის 4500 წევრი. ივლისის ბოლო რიცხვში მიღებულია მანუფაქტურის ფონდი და სხვა. პრეზიდიუმის დადგენილებით ყველაფერი განყოფილია ცალკე კუპონებათ და განაწილებულია 15 ადგილობრივ კომიტეტთა შორის. სულ მიღებულ იქნა 550 კუპონი. [illegible] ქვეგანყოფილება მიიღებს ქალაქის ფარგალში ან მახლობლათ მიწის ნაჭერს, სადაც მოწყობილ იქნება ბოსტანი. კავშირის სატარიფო-სანორმო განყოფილებამ მუშაობა დაიწყო დიდის დაგვიანებით, მარტის ბოლოს და მხოლოდ ივნისიდან იქნა შესაძლებელი დაწესებულებებისათვის ტარიფების გამომუშავება, რომლებიც შედიან ამ კავშირში. ტარიფების გამომუშავება გართულდა იმით, რომ საქართველოში ეხლაც არსებობენ ისეთი დაწესებულებანი, რომელთა მოგონებანი დარჩა რუსეთში. ეს დაწესებულებანია: ბანკები, სასამართლო, დაწესებულებანი, გადასახადთა ინსპექციის ორგანოები და სხვა. ამ ჟამად ტარიფიკაციის მუშაობა დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს. სულ გამომუშავებულია ტარიფი კავშირის 6054 წევრისთვის. ეხლა რიგში სდგას საკითხი პრემიალურ სისტემის გატარების შესახებ.

კულტურულ განმანათლებელ დარგში შემდეგია გაკეთებული. ყოველ დღე ეძლევათ 160 გაზეთი, კვირაში ორჯერ რიგდება „მუშათა შრომა“, გაცემულია 1500 ეგზემპლიარი ბროშიურა და წიგნი. გამართულია 7 ექსკურსია, 4 კონცერტ მიტინგი, 2 კონცერტ ლექცია და 5 ლექცია. აგარაკზე გაგზავნილია 30 ბავშვი, საბავშვო მოედანზე 30 ბავშვი. იხსნება მემანქანეთა და სტენოგრაფისტთა კურსები. მუშათა კლუბში გადაგზავნილია 200 კაცი. დაარსებულია 5 კულტ-იაჩეიკა. გაერთიანებულ კავშირიდან ყველაზედ მძლავრმა კავშირებმა ბისამ სავაჭრო სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ორი უკანასკნელი საანგარიშო წელი დაამთავრეს დიდი დეფიციტით. აპრილის 16 თვის დეფიციტი უდრიდა 574,000 მანეთს, სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ბალანსი 1 აგვისტოსთვის, სახელდობრ დეფიციტის დაფარვის გარდა შემოსავალი აღემატება გასავალს 8.000 მანეთით.

რეზოლიუცია.

მოხსენების შემდეგ კონფერენციის წევრებმა ამხ. მოვშენზონს მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც მან მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხები. კონფერენციამ დაადგინა: არ გახსნას კამათი და ერთხმათ მიღებულ იქნას რეზოლიუცია, რომლის მიხედვითაც დროებით ცენტრალურ გამგეობის მუშაობა ცნობილ იქნას სრულიად დამაკმაყოფილებლათ და მისი მუშაობის გზა მიჩნეულ იქნას სწორედ.

პროვინციაში.

აგარაკი წალვერი.

(მუშის ფიქრები)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სულ მეექვსე თვეა რაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც, როგორც ეკონომიურ, ისე სხვა მხრივ ცუდ პირობებში უხდება შენება ძველის ნანგრევებზე ახალი აპარატისა, მაინც მრავალი საკითხები და დაწესებულებებში უკვე მოგვარებულია მშრომელ მუშა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ავიღოთ ერთი ფაქტი მაგ. კურორტების მოწყობა და იქ ავადმყოფების გაგზავნა განა რომელიმე მუშას, რა გინდ ის ავათ არ უნდა ყოფილიყო, სიზმრათ მოუვიდოდა, რომ ის სახელმწიფო ხარჯით გაგზავნებოდა აგარაკზე საექიმოთ? განა ეს კურორტები, ექიმები, წამლები და მუშები არ იყვნენ წინა მთავრობების ხელში, რომ არსაიდან საწყალ მუშას დახმარება არ ქონდა და პირიქით დაბრკოლება ბევრი?. წელს მუშა მოსამსახურენი და მათი ოჯახის ავადმყოფი წევრები, რომელნიც უნდა გამოსალმებოდნენ წუთისოფელს, საბჭოთა მთავრობა რომ არ ყოფილიყო,—გამოგზავნილი არიან აგარაკზე, მაგ. წალვერში, აბასთუმანში, ცემში, ბაკურიანში სურამში, ბორჯომში და სხვ., სადაც ისინი მოთავსებული არიან სანატორიუმებში სახელმწიფო ხარჯზე და რომლებსაც დაუბრუნდათ თუ სრული ჯანმრთელობა არა, რამოდენიმე წლის სიცოცხლე მაინც. ვინ არიან კურორტებზე წელს? მუშები. ვინ იყვნენ წინა წლებში იქ? მდიდრები და არისტოკრატები. მაშ რაში ყოფილა საქმე? საქმე იმაშია, რომ წინეთ იყო მთავრობა ბურჟუაზიული, მუშების მატყუარა და იმიტომაც იყო, რომ კურორტებზე მდიდრები და არისტოკრატები იყვნენ. წელს კი მთავრობა არის მუშებისა და გლეხების, ამიტომ ყველგანაც პირველ რიგებში ისინი დგანან და იდგომებიან. შეიძლება რომელიმე მკითხველთაგანმა იფიქროს, რომ კურორტებზე მარტო კომუნისტებს აგზავნიან. რაც მე თვითონ გავიგონე, მაგრამ არა, მუშურ გლეხური მთავრობა იცავს თანასწორად ინტერესებს მუშებისას მიუხედავათ იმისა, თუ რომელ პარტიას ის ეკუთვნის, როგორც ყოველიფერში ისე ამ მხრივაც არ წააგავს ის უკვე გაკოტრებულ მენშევიკურ მთავრობას. მაგალითად, აქ წალვერის სანატორიუმში, სადაც ასე მეტი ავადმყოფია, მათში ოცია კომუნისტი; ჩვენ წალვერში მყოფი მუშა-ავადმყოფები გავეჯანსაღებით, რომ მოკლე ხანში ისევ დავუბრუნდეთ ჩვენ ჩვენ დაზგებს, შევუტიოთ ახალი ძალ-ღონით შრომის ფრონტს, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ნორჩი რესპუბლიკის მეურნეობის აღორძინებაში და საბჭოთა რეჟიმის განმტკიცებაში.

გაუმარჯოს ჩვენ ჩაქუჩსა და ნამგალს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკებს და მათ ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

პლატონ ნიკოლაიშვილი

სენაკის მაზრა.

მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების მოღვაწეობა.

ჯანმრთელობის განყოფილებას მაზრაში აქვს გახსნილი ერთი სამაზრო ცენტრალური 30 საწოლიანი საავადმყოფო, ქირურგიული შინაგან და გინეკოლოგიური განყოფილებით აბაშა, ბანძა და ნოქალაქევში თითო 10 საწოლიანი და სალხინოში 15 საწოლიანი სამკურნალო; ხორში, ეკი, ჭალადიდი, სუჯუნა, ძველ-სენაკი, ნოქალაქევი, ფოცხო, უშაფათი, კიწია, თამაკონი, მარანი, გორდსა და სამაქაოში საექიმო პუნქტები. ქალ. ახალ-სენაკში არის აგრეთვე ამბულატორია ექიმითა და ფერშლით და ოთხი კბილის საექიმო კაბინეტი მაზრაში.

სულ ექიმ ფერშლები და ბებიები არის მაზრაში:

1) ქ. სენაკის საავათმყოფოში 3 ექიმი, 3 ფერშალი და 1 ბებია. 2) აბაშის სამკურნალოში 2 ექიმი 2 ფერშალი და 1 ბებია, 3) ბანძის სამკურნალოში 1 ექიმი 3 ფერშალი და 1 ბებია, 4) ნოქალაქევის სამკურნალოში 1 ექიმი 2 ფერშალი და 1 ბებია, 5) სალხინოს სამკურნალოში 1 ექიმი, 2 ფერშალი და 1 ბებია, 6) სენაკის ამბულატორიაში 1 ექიმი 1 ფერშალი, 7) ხორშის საექიმო პუნქტი 1 ექიმი, 8) ჭალადიდის საექიმო პუნქტი ექიმი არ არის, 1 ფერშალი, 9) ეკი საექიმო პუნქტი ექიმი არ არის, 1 ფერშალი, 10) ძველ-სენაკის საექიმო პუნქტი 1 ექიმი, 1 ფერშალი, 11) ნოქალაქევის საექიმო პუნქტი 1 ექიმი, 2 ფერშალი, 1 ბებია, 12) ფოცხო უშაფათის საექიმო პუნქტი ექიმი არ არის, 2 ფერშალია, 13) კიწია-თამაკონის საექიმო პუნქტი 1 ექიმი 1 ფერშალი, 14) მარანის საექიმო პუნქტი 1 ექიმი 2 ფერშალი, 15) გორდის საექიმო პუნქტი 1 ექიმი 1 ფერშალი, 16) სუჯუნის საექიმო პუნქტი 1 ექიმი 1 ფერშალი 1 ბებია, 17) სამაქაოში საექიმო პუნქტი 1 ექიმი, 18) ქ. სენაკში სანიტ. ექიმი, 1 ექიმი 3 ფერშალი და ერთი სანიტარი

სულ 18 ექიმი, 28 ფერშალი და 7 ბებია.

გატარებულია აფთიაქების ნაციონალიზაცია და დღეს მაზრაში არის 15 აფთიაქი ქ. სენაკში, აბაშა, [illegible], მარანი, ხორში, ძველ-სენაკი, ნოქალაქევი, ლეძამე, სალხინო, [illegible], გორდი სუჯუნა, ბანძა და ბუმბუას ხიდში თითო; ჭალადიდსა და ეკში აფთიაქების მოსაწყობად ზომები მიღებულია: მიჩენილია ბინა და გადაგზავნილია საქირო ინვენტარი. სულ მაზრაში სამსახურში გვყავს 5 პროვიზორი და 30 პროვიზორის თანაშემწე.

ჯანმრთელობის განყოფილებამ აგრეთვე მიიღო ზომები და ნოქალაქევის აბანო, თეთრი მთისა და ლებარდეს საზაფხულო ადგილები სახაზინო სეზონისათვის მოაწყო: თეთრ მთისა და ლებარდეში გაშენდა 300 კარავი, სადაც დღეს დღეობით ორი ათასი დაავადმყოფებული მოსამსახურე და კერძო მოქალაქენი ცხოვრობენ. ავათმყოფ მოსამსახურეთ და ღარიბ მოქალაქეთ ეძლევათ უფასოთ დღეში ერთი ბოთლი რძე და ნახევარი გირვანქა ყველი და უფასოთ აქვთ ბინა კარვებში, ექიმობა და წამალი.

მაზრაში გვყავს ვაქცინატორი, რომლებიც როცა ვაქცინა იშოვება, კარდა კარ დადიან და უცრიან მცხოვრებთ უფასოთ. ეხლახან მივიღეთ 20000 ასაცრელი ვაქცინა, და სამივე ვაქცინატორები დადიან მაზრაში და საჭიროების და მიხედვით უცრიან ხალხს ყვავილს.

ხოლერით ავათმყოფობის შემთხვევის გამო მაზრაში: აბაშა, ქ. სენაკსა და ს. თამაკონში მოწყობილ იქნა ბარაკები, სადაც მოთავსდებოდა 4 ხოლერიანი. ყველა უბნის ექიმებს დაეგზავნა ინსტრუქცია ხალხში ხოლერის [illegible] და სანიტარული ზომების მიღების შესახებ, ადგილობრივი თემის რევკომებთან შეთანხმებით. ქ. სენაკში გაცემულია ბრძანება ქუჩების და ეზოების დასუფთავების შესახებ, ქალაქის ქუჩებში განსაზღვრულ ადგილებში დადგმულია სანაგვე გოდრები; საექიმო სასანიტარო პერსონალი გაძლიერებულია და დღეს შტატი შედგება: ერთი ექიმი, სამი ფერშალი და ერთი სანიტარისაგან. დაარსებულია საეპიდემიო ქვეგანყოფილება ექიმით სათავეში, რომელიც საეპიდემიო მუშაობას ხელმძღვანელობს მაზრაში.

მაზრაში არ იყო სახელმწიფო კბილის საექიმო კაბინეტი. ამ უხერხულობის თავიდან ასაცდენად მაზრაში არსებული კერძო კბილის საექიმო კაბინეტები აწერილ იქნა და კბილის ექიმებიც მოწვეული სამსახურში; დღეს დღეობით გვყავს კბილის ექიმი და გვაქვს კბილის საექიმო კაბინეტი მოწყობილი ქ. სენაკში ერთი, აბაშაში ორი, ბანძაში ერთი:

1 ივლისიდან.

1. იქნა 4 კბილის საექიმო კაბინეტი მოწყობილი.
2. მოეწყო მოძრავი აფთიაქი და გაგზავნილ იქნა ლებარდეში მოაგარაკეთათვის.
3. გაგზავნილ, იქნა ლებარდეში 130 ფუთი მარილი, რძე და ყველზე გადასაცემელად, რომ ავათმყოფებს მიეცემოდა თითო ბოთლი რძე და ნახევარი გირვანქა ყველი დღეში.
4. მოწყობილ იქნა ბარაკები სენაკი აბაშასა და თამაკონში ხოლერიან ავათმყოფთათვის.
5. გაკეთებულ იქნა 12 სანაგვე ყუთი, სხვა და სხვა ადგილას დასადგმით. ქ. სენაკში.
6. დაარსდა ეპიდემიური ქვეგანყოფილება ეპიდემიასთან საბრძოლველად მაზრის მასშტაბით.
7. გამოცემულ იქნა მოწოდება და დარიგება ხოლერის შესახებ და ყველა თემებში გაიგზავნა.
8. სამი ვაქცინატორი გაგზავნილია მაზრაში ყვავილის ასაცრელად. მაზრაში 125 000 სულია უკანასკნელის სტატისტიკური ცნობით.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, ექიმი ბექტორ ხარბედია.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52

— მე 5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

სხვა და სხვა

— იმ პირთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი ქ. თბილისში სახალხო მოსამართლის, გამომძიებლის და სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობის მიღების და არ შეავსეს ანკეტის ფურცელი—ვთხოვთ უდაყოვნებლივ გამოცხადდნენ ქალაქის რევკომის იუსტიციის განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია სასამართლო დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქ. № 32).

განყოფილების გამგის მაგ.
მ. კანდელაკი.

პროფესიული განათლების და სოციალისტურ კულტურის [illegible]. [illegible] განყოფილება აცხადებს, რომ აგვისტოს 27 ს. და ნაშუად. 12 საათ. ს. შესდგება უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების წარმომადგენლების სხდომა.

ქალაქის რევკომის წისქვილების ტეხნიკური ზედამხედველობა

იუწყება, რომ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში უნდა მოხდეს ყველა მოიჯარისა და ელექტრონის წისქვილების რეგისტრაცია ტეხნიკურ ზედამხედველობის კანტორაში, რომელიც მოთავსებულია 19 თებერვლის ქუჩაზე, დღის 9 საათ. 2 საათამდე. ამის შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

სასტატისტიკო ზედამხედველობის გამგე ([illegible]).

თბილისის მაზრის ყველა რევკომების პასუხისმგებელ მდივნების საყურადღებოთ

ამა წ. 30 აგვისტოს მოწვეული არის თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების კრება ქალ. თბილისში რუსთაველის ქ. № 14. დასწრება ყველა პასუხისმგებელი მდივნების სავალდებულოა. დღის წესრიგში გასახილველია შემდეგი კითხვები: 1. თანამედროვე მომენტი და ტაქტიკა. 2. მოხსენება ადგილებიდან, 3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა, 4. ურთიერთობა პარტიულ და რევოლიუციონურ ორგანოთა შორის, 5. დამოკიდებულება ახალგაზრდათა კომკავშირთან, 6. პარტიის გაწმენდა, 7. საორგანიზაციო საკითხები და სხვა მიმდინარე კითხვები.

თ. მ. კ. მდივანი ლადო სუხიშვილი.
თ. მ. კ. საქმეთა მმართველი: ვ. ლეჟავა.

ტირაჟი 10,000